საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბრამ ურიაყოფილი

აბრამ ურიაყოფილი, XVIII ს. II ნახ. ქართველი მესტამბე. სამეფო კარის მღვდელი. 1762–68 მოღვაწეობდა ათანასე თბილელის სტამბაში, სადაც მისი მონაწილეობით დაიბეჭდა 9 საეკლ. წიგნი. შემდეგ თბილისში იყო ერეკლე II-ის „სასტამბო დაზგისმმართველი“ და სტამბის უხუცესი. 1786 აქვე დაბეჭდა სახარება.

ლიტ.: კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (XVII – XVIII სს.), [ტფ.], 1929, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

მ. ქიქოძე